ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4882178

ნომერი: AR1736748

თარიღი : 25.02.2020

გაცემის თარიღი : 02.03.2020

გაცნობის თარიღი : 05.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა კიკალეიშვილი პ/ნ 01009014841
- ი. ჭავჭავაძის გამზ. N37ლ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 25 თებერვალს AR1736748 განცხადებით მომართა ბექა კიკალეიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 5

აგვისტოს №4619091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის  არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37ლ, N01.14.14.003.149 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 5 აგვისტოდან 2021 წლის 5 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრა “2020 წლის 5 აპრილის ჩათვლით”, ნაცვლად “2019 წლის 5 აგვისტოდან  2021 წლის 5 აპრილისა”.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2019 წლის 15 მარტის №AR1668248 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 20 თვეზე და სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2021 წლის 5 აპრილის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში დაფიქსირდა არასწორად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,  საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ბექა კიკალეიშვილის 2020 წლის 25 თებერვლის AR1736748 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებაში, კერძოდ ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 5 აგვისტოდან  2021 წლის 5 აპრილის ჩათვლით.''
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს სამსახურის 2019 წლის 5 აგვისტოს №4619091 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.